პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 19 იანვარი, 1943 წ. № 15 (6640). ფასი 20 კაპ.

წითელი არმიის XXV წლისთავის შესახვედრად

ავაგოთ საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიები „საბჭოთა საქართველო“

საქართველოს მშრომელთა ახალი პატრიოტული თაოსნობა

ამხანაგ სტალინის ისტორიული საოქტომბრო მოხსენებითა და საბჭოთა ჯარების წარმატებითი შეტევითი ოპერაციებით აღფრთოვანებულმა საქართველოს მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების მუშებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ, რომლებიც მიისწრაფვიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის სახელოვან XXV წლისთავს შეხვდნენ ფრონტისადმი დახმარების ყოველმხრივი გაძლიერებით, წამოაყენეს წინადადება თავიანთი პირადი დანაზოგით ააგონ საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიები „საბჭოთა საქართველო“.

ორი დღის განმავლობაში მუშებსა, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას შორის შეგროვებულია თვითმფრინავთა ასაგებად 11.000.000 მანეთზე მეტი, აქედან: ქალ. თბილისში—3.131.000 მანეთი, ქალ. ქუთაისში—1.300.000 მანეთი, აჭარის ასს რესპუბლიკაში—3.035.000 მანეთი, გორის რაიონში—2.010.000 მანეთი, წითელწყაროს რაიონში—1.030.000 მანეთი, წალკის რაიონში — 900.000 მანეთი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ეს ინიციატივა და დაავალა საქ. კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს ფართოდ გააცნონ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთ მოწინავე მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის მოწოდება — აგებულ იქნას საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიები „საბჭოთა საქართველო“.

საქართველოს მშრომელთა ახალი პატრიოტული თაოსნობა

უდიდესი ისტორიული მოვლენებით აღსავსე დღეებს განიცდის ჩვენი სამშობლო. საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობას „უკანასკნელ საათს“ საბჭოთა კავშირის მშრომელების, მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ხალხების სასიხარულოდ მოაქვს გულის სიღრმემდე ჩამწვდომი აღმაფრთოვანებელი ამბები წითელი არმიის გამარჯვებებისა, რომელიც გმირულად ებრძვის, გარს ერტყმის და სპობს გერმანელ ფაშისტთა ჯარებს. ახალი წელი ჩვენმა ქვეყანამ ფრონტზე და ზურგში ახალი გამარჯვებებით დაიწყო. სტალინგრადის რაიონში, ცენტრალურ ფრონტზე, დონის ველებზე, ჩრდილოეთ კავკასიაში წითელი არმიის სახელოვან გამარჯვებებს ახალი გშირული ფურცლები მიემატა: ჩვენმა ჯარებმა ვორონეჟის სამხრეთით დაიწყეს წარმატებითი შეტევა და აიღეს მთელი რიგი ქალაქები, რკინიგზის სადგურები და დასახლებული პუნქტები.

მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ხალხები დღეს უსაზღვრო აღფრთოვანებით შეიტყობენ წითელი არმიის ახალი უდიდესი გამარჯვების ამბავს. ესაა არის „უკანასკნელმა საათმა“ მოგვიტანა სასიხარულო ცნობა, რომ ლადოგის ტბის სამხრეთით განლაგებულმა ჩვენმა ჯარებმა დაიწყეს წარმატებითი შეტევა, გაარღვიეს ლენინგრადის ბლოკადა, შვიდი დღის დაძაბული ბრძოლების განმავლობაში, დასძლიეს რა მტრის განსაკუთრებით შეუპოვარი წინააღმდეგობა, დაიკავეს ქალაქი შლისელბურგი, დიდი გამაგრებული პუნქტები მარინო, მოსკოვსკაია დუბროვკა, ლიპკა, მუშათა დაბები №№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, სადგური სინიავინო და სადგური პოდგორნაია. ამრიგად, შეერთდნენ ვოლხოვისა და ლენინგრადის ფრონტების ჯარები და ამით გარღვეულ იქნა ლენინგრადის ბლოკადა.

ეს არის წითელი არმიის ახალი უდიდესი გამარჯვება, რომელიც ჩვენ სამხედრო ძლიერების განუწყვეტელი ზრდის ერთერთ უაღრესად მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს, იგი დიდი სტალინის გენიალური მხედართმთავრობის ახალი ბრწყინვალე შედეგია!

ღრმა კმაყოფილების გრძნობით და უსაზღვრო აღფრთოვანებით შეხვდებიან ჩვენი ქვეყნის მშრომელები ლენინგრადელი გმირი ქალაქის, ოქტომბრის რევოლუციის აკვნის — ლენინგრადის ბლოკადის გარღვევას! გმირმა ქალაქმა გმირულად გაუძალა ფრთები!

დაე დღითიდღე ძლიერდებოდეს საბჭოთა ზურგის გიგანტური დახმარება ფრონტისადმი მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად. ამ წმიდა პატრიოტული გრძნობით არის ანთებული თითოეული საბჭოთა პატრიოტი. სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის ამ მგზნებარე სულისკვეთებით იყო შთაგონებული ტამბოველ და სარატოველ კოლმეურნეთა თაოსნობა, რომელმაც ელვის სისწრაფით მოიცვა მთელი ჩვენი ქვეყანა—დაიწყო ტანკებისა და საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების შენებლობა პირადი დანაზოგებიდან. ტამბოველ და სარატოველ ამხანაგებს მხურვალედ გამოეხმაურნენ საქართველოს კოლმეურნეები, რომლებმაც უკვე 110.000.000 მანეთზე მეტი შეაგროვეს სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ ასაგებად.

საქართველოს მშრომელები დღეს ახალი თაოსნობით გამოდიან!

ამხანაგ სტალინის ისტორიული საოქტომბრო მოხსენებითა და ჩვენი ჯარების წარმატებითი შეტევებით აღფრთოვანებულმა საქართველოს მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების მუშებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ წამოაყენეს წინადადება წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად პირადი დანაზოგებით აგებულ იქნას საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიები „საბჭოთა საქართველო“. უკვე შეგროვებულია 11.000.000 მანეთზე მეტი. მარტო ერთ დღეს — 18 იანვარს — ქ. თბილისში მშრომელებმა შეაგროვეს 3.131.000 მანეთი, ქ. ქუთაისში — 1.300.000 მანეთი, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 3.035.000 მანეთი, გორის რაიონში—2.010.000 მანეთი, წითელ წყაროს რაიონში—1.030.000 მანეთი, წალკის რაიონში—900.000 მანეთი.

ეს ახალი პატრიოტული ინიციატივა მოიწონა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და დაავალა საქ. კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს ფართოდ გააცნონ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთ მოწინავე მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის მოწოდება—აგებულ იქნას საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიები „საბჭოთა საქართველო“.

ეჭვი არ არის, რომ ეს ძვირფასი პატრიოტული ინიციატივა ფართო გამოხმაურებას და მხურვალე მხარდაჭერას ჰპოვებს მთელს რესპუბლიკაში. მას ერთსულოვნად გამოეხმაურებიან ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც ზურგში თავდადებული შრომით ეხმარებიან წითელ არმიას გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა დაჩქარებით განადგურებაში. ბევრმა პატრიოტმა თავისი პირადი დანაზოგი დიდი რაოდენობით შეიტანა სახელმწიფო ბანკში. კინო-რეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა შეიტანა 20.000 მანეთი, პროფესორმა ალექსანდრე ედიბერიძემ—10.000 მანეთი.

დაე ახალი ძალით აზვირთდეს საბჭოთა პატრიოტიზმის კეთილშობილური გრძნობა!

ლენინ-სტალინის ძლევამოსილი დროშით დაჩქარებით გავანადგუროთ ვერაგი მტერი და მივაღწიოთ გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებზე საბოლოო გამარჯვებას!

მტრის გასანადგურებლად ავაგოთ საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიები „საბჭოთა საქართველო“!

მზადება ლენინის დღეებისათვის

დედაქალაქის საწარმოებსა და რაიონებში

დედაქალაქის საწარმოთა და რაიონების პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ენერგიულად ემზადებიან ლენინის დღეებისათვის. მოსკოვის საინსტრუმენტო ქარხანაში და იმ ქარხანაშიც, სადაც პარტკომი, მდივნად არის ამხ. გურინი, გაიმართა აგიტკოლექტივების კრებები, რომლებზეც ნასმენილ იქნა მოხსენებანი თემაზე — „ლენინის ანდერძის თანახმად“, საამქროებში ტარდება საუბრები.

სტალინის რაიონში პროპაგანდისტებისა და აგიტკოლექტივებისათვის ეწყობა საინსტრუქციო მოხსენება. აგიტპუნქტში გახსნილია ლენინისა და სტალინის ნაწარმოებთა და ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ლიტერატურის გამოფენები. საწარმოებში უშვებენ კედლის გაზეთებს და მრავალტირაჟიან გაზეთებს.

სსრ კავშირის შინსახკომის „დალსტროის“ მუშაკთა დაჯილდოება

უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონების მშენებლობისა და სამეურნეო ათვისების დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სსრ კავშირის შინსახკომის „დალსტროის“ მუშაკთა ჯგუფი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 16 კაცი;

შრომის წითელი დროშის ორდენით — 49 კაცი;

„საპატიო ნიშნის“ ორდენით — 117 კაცი;

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 109 კაცი;

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 218 კაცი. (საკდესი).

უკანასკნელ საათს

I.

ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს მილეროვო, ალექსეევკა, კოროტოიაკი, პოდგორნოე, კურსავკა

17 იანვარს ჩვენმა ჯარებმა შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი მილეროვო. ქალაქის გერმანელთა გარნიზონი, რომელმაც სცადა თავი დაეღწია გარშემორტყმისათვის, თითქმის სავსებით გაულიტეს ჩვენმა ჯარებმა. ხელთ ვიგდეთ დიდი დავლა. ნადავლშია 15 თვითმფრინავი, საწყობები და რკინიგზის შემადგენლობანი სხვადასხვა სამხედრო ქონებიანად.

ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც ვორონეჟის სამხრეთით ფრონტზე დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი სადგური ალექსეევკა, ქალაქი კოროტოიაკი, რაიონული ცენტრი და რკინიგზის სადგური პოდგორნოე.

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენმა ჯარებმა გადამწყვეტი იერიშის შედეგად დაიკავეს რაიონული ცენტრი და რკინიგზის დიდი სადგური კურსავკა.

II.

ჩვენი ჯარების ნადავლი ჩრდილოეთ კავკასიაში

ამიერ-კავკასიის ფრონტის (ამიერ-კავკასიის ფრონტს სარდლობს არმიის გენერალი ამხ. ი. ვ. ტიულენევი) ჯარების ჩრდილოეთის ჯგუფის ნაწილებმა ჩრდილოეთ კავკასიაში გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლებში 1942 წლის 25 დეკემბრიდან 1943 წლის 16 იანვრამდე ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 35 თვითმფრინავი, 314 ტანკი, 372 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 422 ნაღმსატყორცნი, 396 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 602 ტყვიამფრქვევი, 10.000-ზე მეტი შაშხანა, 385.000 ყუმბარა, 300.000 ავიაბომბი, 3 მილიონამდე შაშხანის ვაზნა, 2.338 ავტომანქანა, 460 მოტოციკლი, 28 რადიოსადგური, 8 ორთქლმავალი, 1.020 საქონლის ვაგონი, მათ შორის 26 ვაგონი ყუმბარებიანად და 48 ვაგონი ტანკებისა და ავტომანქანების სათადარიგო ნაწილებიანად, 550 რკინიგზის პლატფორმა, 70 რკინიგზის ცისტერნი, 80 სამგზავრო ვაგონი, 27 თოვლსაწმენდი, 70 საწყობი საომარ მასალიანად, საჭურვლიანად და სურსათიანად.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

I.

ჩვენი ჯარების წარმატებითი შეტევა ლადოგის ტბის სამხრეთით მდებარე რაიონში და ლენინგრადის ბლოკადის გარღვევა

ამ დღეებში ლადოგის ტბის სამხრეთით განლაგებული ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ, რომელთა მიერ ბლოკირებული იყო ქალაქი ლენინგრადი.

ჩვენს ჯარებს ამოცანად ჰქონდათ დასახული დაენგრიათ მოწინააღმდეგის თავდაცვა და ამით გაერღვიათ ქალაქ ლენინგრადის ბლოკადა.

ამასთან მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ლენინგრადის მრავალი თვის ბლოკადის მანძილზე გერმანელებმა ქალაქის მისადგომებზე დაკავებული თავიანთი პოზიციები მძლავრ გამაგრებულ რაიონად გადააქციეს, რომელსაც ჰქონდა ხანგრძლივ ბეტონირებულ და სხვა ნაგებობათა განშტოებული სისტემა და დიდძალი ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო დაბრკოლებანი.

ჩვენი ჯარების შეტევა ორი მხრიდან სწარმოებდა: მდინარე ნევის დასავლეთ ნაპირიდან — შლისელბურგის სამხრეთ-დასავლეთით და აღმოსავლეთიდან — ლადოგის ტბის სამხრეთით მდებარე რაიონიდან.

ჩვენმა ჯარებმა შვიდი დღის დაძაბული ბრძოლების განმავლობაში გაარღვიეს მოწინააღმდეგის ხანგრძლივი გამაგრებული ზოლი 14 კილომეტრამდე სიღრმეზე, გადალახეს მდინარე ნევა, მტრის განსაკუთრებით შეუპოვარი წინააღმდეგობა სძლიეს და დაიკავეს ქალაქი შლისელბურგი, დიდი გამაგრებული პუნქტები — მარინო, მოსკოვსკაია დუბროვკა, ლიპკა, მუშათა დაბები №№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, სადგური სინიავინო და სადგური პოდგორნაია.

ამრიგად, შვიდი დღის ბრძოლების შემდეგ ვოლხოვისა და ლენინგრადის ფრონტების ჯარები 18 იანვარს შეერთდნენ და ამით გაარღვიეს ლენინგრადის ბლოკადა.

ჩვენი ჯარების შეტევის მსვლელობაში განადგურებულია გერმანელთა 227-ე, 96-ე, 170-ე და 61-ე ქვეითი დივიზიები, 207-ე ქვეითი დივიზიის 374-ე ქვეითი პოლკი, მე-5 სამთო მსროლელი დივიზიის 85-ე ქვეითი პოლკი, 223-ე მოტორიზებული რაზმი და ნაწილობრივ 1-ლი ქვეითი დივიზია.

არასრული ცნობებით, ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 1.261 ჯარისკაცი და ოფიცერი.

ბრძოლების განმავლობაში ჩვენმა არტილერიამ და ნაღმსატყორცნებმა დაანგრიეს მტრის 470 გამაგრებული კვანძი და ბლინდაჟი, 25 მკვიდრად მოწყობილი სათვალთვალო პუნქტი და ჩააჩუმეს 172 საარტილერიო და სანაღმმტყორცნო ბატარია.

ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 222 ქვემეხი, 178 ნაღმსატყორცნი, 512 ტყვიამფრქვევი, 5.020 შაშხანა, 4 ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი, 26 ტანკი, 9 ჯავშნიანი მანქანა, 17.300 ხელის გრანატი, 72 რაცია, 2.200.000 ვაზნა, 22.000 ყუმბარა, 36.000 ნაღმი, 150 ავტომანქანა, 1.050 ცხენი, 880 საზიდარი და 40 სხვადასხვა საწყობი.

ბრძოლის ველზე დარჩა 13.000-ზე მეტი მოკლული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

მოწინააღმდეგის თავდაცვის ხაზის გარღვევა განახორციელა ლენინგრადის ფრონტის ძალების ნაწილმა გენერალ-პოლკოვნიკ ამხ. ლ. ა. გოვოროვის სარდლობით და ვოლხოვის ფრონტის ძალების ნაწილმა არმიის გენერალ ამხ. კ. ა. მერეცკოვის სარდლობით.

ორივე ფრონტის მოქმედების კოორდინაციას ანხორციელებდნენ უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წარმომადგენლები, საბჭოთა კავშირის მარშლები—ამხ. გ. კ. ჟუკოვი და ამხ. კ. ე. ვოროშილოვი.

ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ამხ. ვ. ზ. რომანოვსკისა და გენერალ-მაიორ ამხ. მ. პ. დუხანოვის ჯარებმა.

II.

ჩვენმა ჯარებმა სამხრეთში დაიკავეს რკინიგზის სადგური კამენსკი, ქალაქები დივნოე, ჩერკესკი და რკინიგზის სადგური კამენკა

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარებმა მდინარე ჩრდილოეთ დონეცი გადალახეს, რკინიგზის სადგური კამენსკი დაიკავეს და ბრძოლებს ეწევიან ქალაქ კამენსკში.

სამხრეთის ფრონტის ჯარებმა მანიჩი გადალახეს და დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური დივნოე.

ვორონეჟის ფრონტის ჯარებმა იტალიის მე-4 კორპუსი გაანადგურეს და რკინიგზის სადგური კამენკა დაიკავეს. ქალაქი ოსტროგოჟსკი ბლოკირებულია ჩვენი ჯარების მიერ.

ვორონეჟის ფრონტის რაიონში ტყვეების რაოდენობა 18 იანვრის დამლევისათვის დაახლოებით 31.000 ჯარისკაცითა და ოფიცრით გადიდდა, რომელთაგან 22.000 უნგრელია, 7.000—იტალიელი და 2.000-ზე მეტი—გერმანელი.

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენმა ჯარებმა ქალაქი ჩერკესკი დაიკავეს.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ვორონეჟის ფრონტის მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა, აღფრთოვანებულებმა წითელი არმიის საბრძოლო წარმატებებით, რომელიც მიღწეულია სამამულო ომის ფრონტებზე, თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით, თავიანთი პირადი დანაზოგიდან 9 მილიონი მანეთი შეიტანეს სატანკო და საავიაციო შენაერთთა ასაგებად.

სახსრების შეგროვება გრძელდება.

გოლიკოვი, ფ. კუზნეცოვი

ვორონეჟის ფრონტი ამხ. გოლიკოვს და ფ. კუზნეცოვს

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა ვორონეჟის ფრონტის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომლებმაც 9 მილიონი მანეთი შეაგროვეს სატანკო და საავიაციო შენაერთთა ასაგებად.

ი. სტალინი

მოსკოვი, თავდაცვის სახალხო კომისარს ამხანაგ სტალინს

აღმირული ლენინგრადის დამცველებმა—ნ არმიის მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან სტალინით მოაახლოონ გერმანელ არამზადებისადმი შურისგების ჟამი, თავიანთი პირადი დანაზოგიდან 6.081.182 მანეთი შეიტანეს წითელი არმიისათვის ტანკების და თვითმფრინავების ასაგებად. სახსრების შემოსვლა გრძელდება.

პირობას გაძლევთ თქვენ, ჩვენო საყვარელო მამავ, რომ ჩვენი არმიის პირადი შემადგენლობა მზად არის შეასრულოს ყოველი თქვენი ბრძანება.

არმიის სარდალი სვირიდოვი

სამხედრო საბჭოს წევრები რომანოვი, სმირნოვი

არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი ქრილოვი

არმიის სარდალს ამხ. სვირიდოვს, სამხედრო საბჭოს წევრებს ამხ. რომანოვს, სმირნოვს, არმიის პოლიტგანყოფილების უფროსს ამხ. ქრილოვს

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა ნ არმიის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომლებმაც 6.081.182 მანეთი შეაგროვეს წითელი არმიისათვის სატანკო კოლონებისა და თვითმფრინავების ასაგებად.

ი. სტალინი

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

არმიის გენერალ გ. კ. ჟუკოვისათვის საბჭოთა კავშირის მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

არმიის გენერალს გიორგი კონსტანტინეს-ძე ჟუკოვს მიენიჭოს საბჭოთა კავშირის მარშლის სამხედრო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 18 იანვარი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ნ. ნ. ვორონოვისათვის არტილერიის მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ვორონოვს მიენიჭოს არტილერიის მარშლის სამხედრო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 18 იანვარი.

ამხ. ა. მ. ვასილევსკისათვის არმიის გენერლის წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ალექსანდრე მიხეილის-ძე ვასილევსკის მიენიჭოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით დაწესებული წოდება არმიის გენერლისა.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. სტალინი

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი ი. ჩადაევი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 18 იანვარი.

უკანასკნელი ცნობები

საფრანგეთის კომპარტიის ბრძოლა საფრანგეთის განთავისუფლებისათვის

ლონდონი, 17 იანვარი (საკდესი). მებრძოლი საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტი იუწყება, რომ ლონდონს ჩავიდა საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატი და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ფერნან გრენიე. იგი 1940 წელს დაპატიმრეს გერმანელებმა და მოათავსეს საკონცენტრაციო ბანაკში, საიდანაც გაქცევა მოახერხა. საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ გრენიეს დაავალა გადასცეს დე გოლს და ნაციონალურ კომიტეტს ფორმალური განცხადება მებრძოლი საფრანგეთის მოძრაობასთან შეერთების შესახებ. ნაციონალური კომიტეტის ცნობამი ნათქვამია, რომ ამ შეერთებით მთავრდება ნაციონალური კომიტეტის ირგვლივ თავმოყრა საფრანგეთის ყველა პარტიებისა, რომლებიც, თავიანთ პოლიტიკურ შეხედულებათა განსხვავების მიუხედავად, მხარდამჭერ იბრძვიან საფრანგეთის მტრების წინააღმდეგ.

ლონდონში გრენიეს საუბარი ჰქონდა პრესის წარმომადგენლებთან. მან განაცხადა, რომ საფრანგეთის კომუნისტური პარტია, გერმანელი ოკუპანტების მიერ საფრანგეთში დამყარებული სასტიკი ტერორის რეჟიმის მიუხედავად, მტრისადმი ორგანიზებულ წინააღმდეგობას ანხორციელებს. საფრანგეთში არალეგალურად გამოდის კომპარტიის, ცენტრალური კომიტეტის ორგანო „ლუმანიტე“ და კიდევ ორი სხვა გაზეთი. გამოსულია უკვე „ლუმანიტეს“ 200 ნომერი, გარდა ამისა, 1942 წელს გამოშვებული იყო 100.000 ცალი სხვადასხვა ბროშურა, ხოლო ყველა არალეგალური ბეჭდვითი გამოცემის საერთო რაოდენობა 6 მილიონ ცალს აღწევს.

გრენიემ აღნიშნა, რომ კომპარტია მონაწილეობას იღებდა მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევის ორგანიზაციაში, რისთვისაც მხარს უჭერდა დე გოლის მომხრეებს, აწყობდა ანტიგერმანულ საბოტაჟს და პარტიზანულ მოძრაობას. საბოტაჟი და დივერსიები ეწყობა ტანკებისა და სატვირთო მანქანების დამამზადებელ ქარხნებში, ავრეთვე კონსერვების ქარხნებში. დიეონში ფრანგმა პატრიოტებმა 70 ორთქლმავალი გააფუჭეს. გრენიემ აღნიშნა, რომ ოკუპანტებისათვის წინააღმდეგობის გაწევაში მონაწილეობას იღებს მოსახლეობის ყველა ფენა. დიდია ფრანგი ინტელიგენციის როლი ოკუპანტებისათვის წინააღმდეგობის გაწევაში. პროფესორები და სტუდენტები ერთსულოვნად გამოდიან გერმანელების წინააღმდეგ. პროფესორებმა მოაწყეს არალეგალური გაზეთების გავრცელება პროფკავშირთა წევრებს, შორის. ფრანგი გლეხები ყოველწარიად ეხმარებიან მუშებს, რომლებიც თავს არიდებენ გერმანიაში წასვლას.

გრენიემ აღნიშნა, რომ ოკუპანტებისადმი სიძულვილის გრძნობა დღითი-დღე ძლიერდება. ოკუპანტები ცდილობენ ტერორით გასტეხონ ფრანგი ხალხის წინააღმდეგობა. საფრანგეთის კაპიტულაციიდ მომენტიდან ვიშის ხელისუფლებმა და ოკუპანტებმა 10.000-მდე ფრანგი დახვრიტეს ან აწამეს ციხეებში. ამჟამად დაპატიმრებულია 40-50 ათასი ფრანგი. ვიშის მთავრობამ და გერმანელებმა შიმშილის რეჟიმი დაამყარეს საფრანგეთში. მუშათა დაბებში სასკოლო ასაკის ბავშვთა 80 პროცენტს ტუბერკულოზით დაავადება მოელის კვების ნაკლებობის გამო.

საომარი მოქმედება ჩრდილოეთ აფრიკაში

ლონდონი, 18 იანვარი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, რომელს თავისი ტრანსპორტები გადაპყავს მისურატისა და ტრიპოლის დასავლეთისაკენ. ფიქრობენ, რომ მისი ჯარები ტუნისისაკენ დაიხევენ.

სანამ ელ-ალამეინთან ბრძოლა მოხდებოდა, რომელელ ჰყავდა 11 დივიზია, 600 ტანკი და მნიშვნელოვანი საავიაციო ძალები. შუა ნოემბრისათვის ღერძის სახელმწიფოებმა დაპკარგეს აფრიკაში მყოფი თავიანთი არმიის ადამიანთა შემადგენლობის სამი მეოთხედი, ტანკების 80 პროცენტი, 1.000-ზე მეტი ქვემეხი, 10.000 ავტომანქანა და 697 თვითმფრინავი. ლიბიაზე უკანდახევისას, რომელის ჯარებმა მოახერხეს მიეღოთ ერთგვარი მაშველი ძალა ადამიანებისა და საჭურვლის სახით. მაგრამ ამჟამად, დაახლოებითი გამოანგარიშებით, რომელს ჰყავს მხოლოდ ნახევარი ადამიანთა შემადგენლობისა და ტანკების იმ რაოდენობის მეოთხედი, რაც მის განკარგულებაში იყო ელ-ალამეინთან მომხდარ ბრძოლამდე.

ტუნისში, რომელიც უახლოესი ნავსადგურია, საიდანაც რომმელს შეუძლია მაშველი ძალა მიიღოს, მოწინააღმდეგეს ჰყავს 70.000 ჯარი, მაგრამ მას აქ არა ჰყოფნის ტანკები და არტილერია. ღერძის სახელმწიფოთა საჰაერო ძალები ტუნისში 200 თვითმფრინავისაგან შესდგება.

მოწინააღმდეგეს ამჟამად შეუძლია გამოიყენოს ხუთი ნავსადგური — ბიზერტა, ტუნისი, სფაქსი, სუსი და ჰაბესი. ამიტომ ტრიპოლის დაკარგვას მისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა არ ექნებოდა. ინგლისისათვის კი ამ ნავსადგურის დაკავებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ინგლისის მი-8 არმიის კომუნიკაციები გაჭიმულია 600 მილზე ბენგაზამდე. ტრიპოლის დაკავებას მოაკეცებოდა ტრანსპორტის, სწავლისა და ლოგის დიდი ეკონომია.

ელ-ალამეინთან მე-8 არმიამ დაჰკარგა 13.600 კაცი. მისი ზარალი ტანკებისა და არტილერიის მხრივ გაცილებით ნაკლებია მოწინააღმდეგის ზარალზე, მაგრამ მე-8 არმიის შემდგომი მოქმედების უზრუნველსაყოფად ახალი ბაზებია საჭირო უდანოს რაიონში. ტრიპოლი-ტუნის-სიცილიის სამკუთხედის დასავლეთ ნაწილში მოკავშირეებმა შეტევის ეადა გადასდეს იმის გამო, რომ საჭირო რაოდენობით არა ჰქონდათ მოწინავე ბაზები, რამაც შესაძლებლობა მისცა გერმანელებს გამოეყენებინათ კომუნიკაციის თავიანთი მოკლე ხაზები, რათა ჯარებისათვის თავი მოეყარათ ტუნისის ჩრდილოეთ ნაწილში. ამჟამად ინგლისის პირველი არმია ენერგიულად აუმჯობესებს თავის კომუნიკაციებს და მომარაგების მოწყობის საქმეს.

საფრანგეთის ჯარებს, რომლებიც 50.000 კაცისაგან შესდგება, უკავიათ ცენტრალური უბანი ფრონტისა ტუნისში.

ლონდონი, 18 იანვარი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ავიაცია დიდ დახმარებას უწევს დასავლეთისაკენ მიმავალ ჯარებს და მნიშვნელოვან ზარალს აყენებს მოწინააღმდეგეს, რომელსაც ბომბავს და ტყვიამფრქვევს უშენს.

16 იანვარს გააფთრებული იერიში იქნა მიტანილი სიცილიის კუნძულზე.

მე-8 არმიამ წინ წაიწია, როგორც ეტყობა სულ დასტოვა უდანო. ახლა მისი გზა გაივლის მეტად ნაყოფიერ ტერიტორიაზე, სადაც საკმაოდ დიდი დასახლებული პუნქტები მოიპოვება.

ლონდონი, 16 იანვარი (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, მებრძოლი საფრანგეთის ჯარებმა გენერალ ლეკლერკის სარდლობით 1.500 მილი გაიარეს ჩადის ტბაზე არსებული თავიანთი ბაზებიდან. შეიერთდნენ საფრანგეთის ჯარებს ტუნისის სამხრეთ ნაწილში და ინგლისის მე-8 არმიას ლიბიაში.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

17 იანვრის საღამოს ცნობა

17 იანვარს ჩვენმა ჯარებმა შეუპოვარი წინააღმდეგობის შემდეგ დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი მილეროვო.

ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც ვორონეჟის სამხრეთით უტევენ, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი სადგური ალექსეევკა, ქალაქი კოროტოიაკი, რაიონული ცენტრი და რკინიგზის სადგური პოდგორნოე.

ჩრდილოეთ დონეცის რაიონში ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს რამდენიმე ათეული დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები—კრასნოვკა, ისაევკა, ვერხნე-მიტიაკინსკი, ასტახოვი, კალიტვენსკაია, რკინიგზის სადგურები— პოგორელოვო, კრასნოვკა.

ოსკოლოვკაიას რაიონში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტები, ბუდიონოვკაია, ბეკეტნი, დონსკოი, ნოგაევსკო-რუბრიჩანსკი, გუნდოროვი, რომანოვი, რკინიგზის სადგურები ელმუტი და ვოსტოჩნი.

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენმა ჯარებმა გადაშენეტი იერიშის შედეგად დაიკავეს რაიონული ცენტრი და რკინიგზის დიდი სადგური კურსავკა, რაიონული ცენტრი გოფიცკოე, დიდი დასახლებული პუნქტები — ხერგეევკა, სულტანსკოე, კრიმ-გირეევსკოე, ვოროვსკო-ლესკაია, რკინიგზის სადგური კრიმ-გირეევო.

გასულ კვირაში, 10-დან 16 იანვრამდე ჩათვლით, საჰაერო ბრძოლებში და მოწინააღმდეგის აეროდრომებზე მოსპობილია გერმანელთა 265 თვითმფრინავი. ჩვენ ამავე ხნის განმავლობაში 133 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

16 იანვარს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 15-მდე ტანკი, 50-ზე მეტი ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაახშეს 6 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი, ააფეთქეს საომარი მასალის საწყობი, გაჩფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის რაიონში ჩვენი ჯარები ულტდნენ გერმანელ ფაშისტთა გარშემორტყმულ ჯარებს. საბჭოთა ნაწილები გარშემორტყმის რკალს ავიწროებდნენ და წინ წაიწიეს. სტალინგრადის დასავლეთით ჩვენი მებრძოლები წინსვლას განაგრძობდნენ, ამასთან სძლევდნენ გერმანელთა ქვეითი ჯარის დაჩაქჩულ ჯგუფთა წინააღმდეგობას. შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა პოტომნიკის ჩრდილოეთით მდებარე აეროდრომისათვის. გერმანელებმა სცადეს შეეჩერებინათ ჩვენი ჯარები, მაგრამ ჩვენი მებრძოლები სწრაფი იერიშით შეიჭრნენ აეროდრომზე, გაელიტეს ბლინდაჟებში ჩამდგარი ჰიტლერელები და ხელთ იგდეს დიდი დაკა.

* * *

ორლოვსკაიას რაიონში ჩვენი ჯარები მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას სძლევდნენ და შეტევას განაგრძობდნენ. საბჭოთა ნაწილები წინ მიიწევენ და ფლანგებიდან უვლიან მოწინააღმდეგეს, სთიშავენ მის ქვანაყოფებს და ცალ-ცალკე ურტყამენ მათ.

დღის განმავლობაში 6 შენაერთის ნაწილებმა რამდენიმე დასახლებული პუნქტი დიაკავეს. ერთ უბანზე ჩვენმა ტანკისტებმა გაანადგურეს მტრის ბატალიონი და მოსპეს 400-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია ერთი ტანკი, 9 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 23 ტყვიამფრქვევი და სხვა დაკა.

* * *

ვორონეჟის სამხრეთით ჩვენი ჯარები გაანგრძობდნენ წარმატებითს შეტევას და ათობით დასახლებული პუნქტები დაიკავეს. ერთ უბანზე განადგურებულია გერმანელთა მოტორიზებული პოლკი, მოსპობილია 17 ტანკი და 8 ჯავშანმანქანა. ხელთ ვიგდეთ დაკა. დაკაშია 18 ქვემეხი და ორი საწყობი სამხედრო ქონებიანად. სხვა უბანზე საბჭოთა მებრძოლებმა გასტეხეს მტრის გარნიზონის წინააღმდეგობა დიდ დასახლებულ პუნქტში. ხელთ ვიგდეთ 6 ტანკი, ჯავშანმანქანა, 13 ქვემეხი, 40 ტყვიამფრქვევი, 46 ავტომანქანა და საწვავის საწყობი. ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 300-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ველიკიე ლუკის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მოწინააღმდეგის რამდენიმე კონტრიერიში მოიგერიეს. 6 ნაწილის მებრძოლებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დიაკავეს სამი ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის ასობით გვამი. ტყვედ წამოყვანილია 400-ზე მეტი ვერმაველი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ დაკა; დაკაშია 9 ტანკი, 3 ჯავშანმანქანა, 3 ექსპლულიანი ნაღმსატყორცნი, ტყვიამფრქვევები, ავტომატები, შაშხანები და სხვა სამხედრო ქონება.

* * *

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენი ჯარები წინ მიიწევდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დიაკავეს. ერთ უბანზე ჰიტლერელები შეეცადნენ შეეჩერებინათ ნაწილის წინსვლა, რისთვისაც კონტრიერიშებზე გამოიყვანეს ორი ბატალიონი ქვეითი ჯარი და 20 ტანკი. არტილერიისა და ჯავშანმტვრეველთა ცეცხლით დაზიანებული და დაშვებარია გერმანელთა 7 ტანკი და 11 ავტომანქანა. გაფთრებულ ბრძოლაში ჩვენმა ქვეანაყოფებმა 400-მდე ჰიტლერელი გაელიტეს. სხვა დასახლებული პუნქტის რაიონში ხელთ ვიგდეთ 3 საწყობი საომარ მასალიანად, 27 ავტომანქანა, 2 რადიოსადგური, ბევრი ტანკსაცმელი და სურსათი.

* * *

სუმის ოლქში მოქმედმა უკრაინელ პარტიზანთა რაზმმა რამდენიმე წარმატებითი საბრძოლო ოპერაცია მოაწყო. პარტიზანები თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის გარნიზონს დიდ დასახლებულ პუნქტში და მოსპეს 60 გერმანელი ჯარისკაცი, მოჰკლეს ოფიცერის უფროსი, მამასახლისი და 21 პოლიციელი. ამ რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა რკინიგზის ხიდი ააფეთქა მოწინააღმდეგის ეშელონის კომუნიკაციაზე.

18 იანვრის ღილის ცნობა

17 იანვრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები სტალინგრადის რაიონში, ვორონეჟის სამხრეთით, ჩრდილოეთ კავკასიაში, დონის შუაწელისა და ჩრდილოეთ დონეცის რაიონში განაგრძობდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

* * *

სტალინგრადის რაიონში ჩვენი ჯარები ულტდნენ გარშემორტყმულ გერმანელ ფაშისტთა ჯარებს. 6 შენაერთის ნაწილები მტრის წინააღმდეგობას სძლევდნენ და წინ მიიწევდნენ. ბრძოლის შედეგად მოსპობილია 1.000-ზე მეტი ჰიტლერელი და ტყვედ წამოყვანილია 850 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ დაკა. დაკაშია: 20 თვითმფრინავი, 38 ტანკი, 91 ქვემეხი, 14 ექსპლულიანი ნაღმსატყორცნი, 1.000-ზე მეტი შაშხანა და ავტომატი, 93 ტყვიამფრქვევი, 20.000 ყუმბარა, 21 რადიოსადგური და სხვა სამხედრო ქონება.

* * *

ვორონეჟის სამხრეთით ჩვენი ჯარები შეტევას ანვითარებდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დიაკავეს. მტრის ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტისათვის ბრძოლებში მებრძოლებმა ამხ. ხოროშკოს მეთაურობით გერმანელთა თითქმის მთელი გარნიზონი გაელიტეს. ჩვენმა ნაწილებმა დიაკავეს სხვა დიდი დასახლებული პუნქტი და ტყვედ წამოიყვანეს 1.255 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის ერთი პოლკოვნიკი.

* * *

ჩრდილოეთ დონეცის რაიონში ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. ერთ უბანზე საბჭოთა მებრძოლებმა სწრაფი დარტყმით გარეკეს გერმანელები სამი დასახლებული პუნქტიდან. გაელიტეთა გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი, დაზიანებული და დამწვარია 7 ტანკი, მოსპობილია 20 ქვემეხი. წამოყვანილია 300 ტყვე. ხელთ ვიგდეთ დაკა: 2 ტანკი, 20 ქვემეხი, 50 ავტომანქანა და 2 საწყობი სხვადასხვა სამხედრო საჭურვლიანად.

* * *

ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ნაწილებმა დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და რკინიგზის ორი სადგური. გაფთრებული ბრძოლები სწარმოებს დიდი დასახლებული პუნქტის დასავლეთ გარეუბანში. მტრის პოზიციებზე მძლავრი საარტილერიო დაშენის შემდეგ ჩვენმა მებრძოლებმა გადალახეს სანინჟირო სიმაგრეები და ნაღმიანი ველები, გასტეხეს გერმანელთა წინააღმდეგობა და შეიჭრნენ ამ დასახლებული პუნქტის გარეუბნებში. ჭიჭებში წარმოებულ ბრძოლებში გაელიტილია 450 ჰიტლერელი, დაზიანებული და დამწვარია 5 ტანკი, 13 ავტომანქანა. ხელთ ვიგდეთ დაკა და ტყვეები. სხვა უბანზე გვარდიელმა კავალერისტებმა, რომელნიც უკანდახეულ მოწინააღმდეგეს სდევნიდნენ, გაჩფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მტრის ერთი ასეული ქვეითი ჯარი.

* * *

სმოლენსკის ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ლინდაგიდან გადააგდო მოწინააღმდეგის საბჭერო ეშელონი. მარცხის შედეგად დაიწვა 8 ცისტერნი, დაიმტვრა 13 პლატფორმა და 4 ვაგონი სხვადასხვა ტვირთიანად. სხვა რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა ააფეთქა ხიდი და რკინიგზის ლინდაგი, აგრეთვე ამოსპრა კავშირგაბმულობის 1.000 მეტრი სატელეფონო-სატელეგრაფო ხაზი.

* * *

საბჭოთა ჯარების მიერ ქალაქ ველიკიე ლუკის დაკავებამ არეა-დარეა და შეშფოთება გამოიწვია ჰიტლერელებში: გერმანელთა სარდლობა ცდილობს დამალოს გერმანიის არმიის ეს დიდი დამარცხება და 3 იანვრიდან მოკიდებული ყოველდღე აქვეყნებს აშკარა ცრუ ცნობებს, ქალაქი ველიკიე ლუკი ისევ გერმანელთა ხელშიაო. ამას წინათ გერმანიის საინფორმაციო ბიურომ გამოაცხადა, რომ გერმანელთა „დიდმა სატანკო შენაერთებმა მოახერხეს ველიკიე ლუკამდე მისვლა და რომ ველიკიე ლუკის გარნიზონმა მნიშვნელოვანი დახმარება მიიღო ადამიანებისა და საჭურველის სახით“. სანამ ბერლინში ამ სულელურ და ცრუ ზღაპრებს სთხზავდნენ, ჰიტლერელთა სარდლობამ თავი მოუყარა ველიკიე ლუკის სამხრეთ-დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით დამკვრელ დაჯგუფებას და სასოწარკვეთილად სცადა ხელახლა დაეკავებინა ქალაქი. გერმანელების ანგარიში მარტივი იყო: დღითიდღე დაეინებით უარეყოთ საბჭოთა ჯარების მიერ ველიკიე ლუკის დაკავება, ხოლო ამისობაში არავითარ მსხვერპლს არ მორიდებოდნენ, მიეღწიათ ქალაქამდე და დაეკავებინათ იგი. ამრიგად, ჰიტლერელებს სურდათ ერთი ვასროლით ორი კურდღელი მოეკლათ: ჯერ-ერთი, კვლავ დაეკავებინათ უდიდესი მნიშვნელობის მქონე ქალაქი; მეორე—გამოესწორებინათ თავიანთი ძლიერ შერყეული რეპუტაცია.

18 იანვრის საღამოს ცნობა

ამ დღეებში ლადოგის ტბის სამხრეთით განლაგებული ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ, რომელთა მიერ ბლოკირებული იყო ქალ. ლენინგრადი. შვიდი დღის დაძაბული ბრძოლების შედეგად ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის ხანგრძლივი გამაგრებული ზოლი 14 კილომეტრამდე სიღრმეზე, მდინარე ნევა გადალახეს, მტრის განსაკუთრებით შეუპოვარი წინააღმდეგობა სძლიეს და დაიკავეს ქ. შლისელბურგი, დიდი დასახლებული პუნქტები — მარინო, მოსკოვსკაია დუბროვკა, ლიპკა, შუშათა დაბები № № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, სადგური სინიავინო და სადგური პოდგორნაია.

ამგვარად, შვიდი დღის ბრძოლების შემდეგ ვოლხოვისა და ლენინგრადის ფრონტების ჯარები 18 იანვარს შეერთდნენ და ამით გაარღვიეს ლენინგრადის ბლოკადა.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარებმა გადალახეს მდინარე ჩრდილოეთ დონეცი, დაიკავეს რკინიგზის სადგური კამენსკი და ბრძოლებს ეწევიან ქალაქ კამენსკში. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს რაიონული ცენტრი ნოვოპსკოვი და მთელი რიგი დიდი დასახლებული პუნქტები, მათ შორის — ნოვო-ბელენკაია, დონცოვკა, ლენინი, რუდაკოვი და კრასნოდონეცკაია.

სამხრეთის ფრონტის ჯარებმა გადალახეს მანიჩი და დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური დივნოე, დასახლებული პუნქტები—პრივოლნი, რემონტნი, მოკრაია ელმუტა, ნიუნი სერებრიაკოვი.

ვორონეჟის ფრონტის ჯარებმა დაიკავეს რკინიგზის სადგური კამენკა და ბევრი დიდი დასახლებული პუნქტი. მათ შორის ისტობნოე, როსოში, ხმელევოე, აფანასიევკა და კარპენკოვო.

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ჩერკესკი, რკინიგზის სადგური ბატალპაშინსკი, დიდი დასახლებული პუნქტები — სურკული, კრასნოიარსკი და სხვ.

* * *

18 იანვარს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 30-მდე ტანკი, 300-ზე მეტი ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაახშეს 10 საარტილერიო ბატარია, ააფეთქეს 3 საწყობი საომარი მასალები და 2 საწყობი საწვავიანად, გაჩფანტეს და ნაწილობრივ გაელიტეს მოწინააღმდეგის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის რაიონში ჩვენი ჯარები კვლავ თანდათან ავიწროებენ რკალს გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების ირგვლივ. საბჭოთა ნაწილები, რომელნიც დასავლეთიდან მოქმედებენ, ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. ქალაქში ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს რამდენიმე ჭუჭა და მოწინააღმდეგის დასაყრდენი პუნქტები. განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლები სწარმოებდა რკინიგზის შემოსავლელთან, სადაც მტერი სიმაგრეებს ეყრდნობა და თავგანწირულ წინააღმდეგობას ეწევა. არასრული ცნობებით, ჩვენმა ჯარებმა 2.000 ჰიტლერელი გაელიტეს და ტყვედ წამოიყვანეს 400 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია დაკა.

* * *

ვორონეჟის სამხრეთით საბჭოთა ჯარები წარმატებით განაგრძობდნენ წინსვლას. მოწინააღმდეგე ტექნიკასა და დიდძალ სამხედრო ქონებას სტოვებს და უკან იხევს. ოლოვატკა-შაპიაკინის გზის უბანზე ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს 1.000-ზე მეტი ვარგისი ავტომანქანა. ქალ. როსოშში მათ ხელთ იგდეს გერმანელთა 10 ტანკი, 79 ქვემეხი, 560 ავტომანქანა, 33 მოტოციკლი, 13 საწყობი სურსათიანად, 10 საარტილერიო საწყობი, 7 საწყობი საწვავიანად, 5 საწყობი სამედიცინო ქონებიანად, 200.000 საარტილერიო ყუმბარა და 1 მილიონამდე ვაზნა. ტყვედ წამოყვანილია მტრის 1.855 ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა ნაწილებმა, რომლებიც წინ მიიწევენ, ათობით დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთაგან.

* * *

სამხრეთის ფრონტზე ჩვენი ჯარები შეტევის ბრძოლებს ეწეოდნენ. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწევა და თავდაცვისათვის მარჯვე ყოველ ხღუდეს ებღაუჭება. ერთ უბანზე გერმანელებმა კონტრიერიშზე გადმოიყვანეს ქვეითი ჯარის მნიშვნელოვანი ძალები და 30 ტანკი. საბჭოთა ნაწილების დარტყმებით ჰიტლერელებმა დიდი ზარალი ნახეს და სასწრაფოდ დაიხიეს უკან. სხვა უბანზე 6 ნაწილის მებრძოლებმა დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და მოსპეს მტრის 4 ტანკი, 9 ქვემეხი, 25 ავტომანქანა და გერმანელთა 1 ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ჩრდილოეთ დონეცის რაიონში 6 შენაერთის ნაწილები გერმანელთა შეეიწროებას ებრძოდნენ. სასტიკ ბრძოლაში მოსპობილია მტრის 8 ტანკი, 9 ქვემეხი და გაელიტილია მოწინააღმდეგის ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს: 1 საწყობი საომარ მასალისად, 3 საწყობი იარაღიანად და 2 საწყობი სურსათიანად. ლეიტენანტ გუბინის ტანკის ეკიპაჟი დიდი სისწრაფით შეიჭრა მტრის მიერ დაკავებულ ერთ დასახლებულ პუნქტში, თავზარი დასცა გერმანელებს, გაჩფანტა და ნაწილობრივ გასრისა მუხლუხებით გერმანელთა ერთი ასეული ქვეითი ჯარი და მოსპო 20 ქვემეხი.

* * *

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს ქალ. ჩერკესკი და რამდენიმე დიდი დასახლებული პუნქტი. ერთი დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლაში 6 ნაწილმა გაანადგურა გერმანელთა ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი, დაიხანა და დაწვა მტრის 6 ტანკი და 15 ავტომანქანა. წამოღებულია დაკა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედმა პარტიზანულმა რაზმებმა მთელი რიგი წარმატებითი საბრძოლო ოპერაციები ჩაატარეს. რაზმმა „პოლიარნიკიმ“ ლიანდაგიდან გადააგდო ფრონტის ხაზზე მიმავალი მოწინააღმდეგის ეშელონი. დამტვრეულია ორთქლმავალი და 10 ვაგონი საომარ მასალიანად და სურსათიანად. იანვრის დამდეგს რაზმები „ბოლშევიკ ზაპოლიარია“ და „სოვეტსკი მურმანი“ ბრძოლებს ეწეოდნენ გერმანელთა და თეთრფინელთა დიდი დამსჯელი რაზმების წინააღმდეგ. დამსჯელთა ყველა ცდა—გარშემორტყმოდნენ და გაელიტათ პარტიზანები—ჩაშალა. საბჭოთა პატრიოტებმა 38 ჰიტლერელი გაელიტეს და რამდენიმე ათეული დასჭრეს. პარტიზანულმა რაზმმა „ეპერიოდმა“ გაანადგურა მოწინააღმდეგის აღალის სურსათიანად და ფოსტიანად. აღალის მცველები გაელიტეილი არიან. წამოღებულია დიდძალი სურსათი და სამხედრო ფოსტა.

* * *

თავისუფალ ფრანგ მსროლელები თავს დაესხნენ გერმანელთა საწყობს პუატიეს რაიონში. პატრიოტებმა გერმანელი მცველები ამოსწყვიტეს, ხელთ იგდეს 12 ტყვიამფრქვევი, 28 ავტომატი, რამდენიმე ასეული ხელის გრანატი და მიიმალნენ. სენ-პოლის ახლოს თავისუფალმა მსროლელებმა გერმანელთა მატარებლების მარცხი მოაწყეს. მარცხის დროს დაილუპა 50-ზე მეტი ჰიტლერელი.

ინგლისის ჯარების შეჯვეა ტრიპოლიტანიაში

ლონდონი, 17 იანვარი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ინგლისის ჯარების შეტევა, რომელიც 15 იანვარს დაიწყო, წარმატებით ვითარდება. 16 იანვრისათვის დერძის სახელმწიფოთა ჯარებმა დასტოვეს ყველა თავიანთი პოზიცია ბუერატ-ელ-სუნთან. გუშინ მოკავშირეთა ჯარები კვლ-დაკვალ მისდევდნენ მოწინააღმდეგის არიერგარდებს, რომლებიც ჩრდილო-დასავლეთისაკენ იხევენ, და დღის დამლევს იერიში მიიტანეს მტრის პოზიციებზე სედადის რაიონში. წამოყვანილია ტყვეები და წამოღებულია ტანკები.

მოკავშირეთა ავიაციამ ინტენსიურად დაბომბა ტრიპოლი და ტუნისი.

გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ხდება სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაცია ტრიპოლიდან.

ლონდონი, 18 იანვარი (საკდესი). ოფიციალური ცნობის თანახმად, ინგლისის მერვე არმიის ნაწილებმა უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში 50 მილით წაიწიეს წინ და ახლა 60 მილზე არიან მისურატის სამხრეთით.

„სტალინგრადისათვის ბრძოლა რუსების ყველაზე ბრწყინვალე გამარჯვებაა“

ინგლისური პრესა საბჭოთა ჯარების წარმატებითი შეტევითი მოქმედების შესახებ

ლონდონი, 17 იანვარი (საკდესი). ცნობები საბჭოთა ჯარების საბრძოლო წარმატებათა შესახებ ინგლისური პრესის ყურადღების ცენტრშია. გაზეთები განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავენ ვორონეჟის სამხრეთით წითელი არმიის ნაწილების ახალი შეტევისა და სტალინგრადის რაიონში გარშემორტყმული გერმანელ-ფაშისტთა ჯარების სალიკვიდაციოდ წარმოებული ოპერაციების დიდ მნიშვნელობას.

ჰიტლერი, — ნათქვამია ინგლისის ინფორმაციის სამინისტროს ცნობაში, — პირობას მაცის სამინისტროს ცნობაში, — პირობას ადებდა, რომ სტალინგრადი აღებული იქნებოდა და გერმანელებს შეუძლიათ ამაში დარწმუნებული იყვნენო. ეს განცხადება იმ დროისაც კი, როცა იგი გაკეთებულ იქნა, იმ შთაბეჭდილებას ჭმნიდა, რომ სასოწარკვეთილი ადამიანი ცდილობს გაამხნეოს თავისი ქანცგაწყვეტილი ჯარისკაცები. ახლა აშკარაა, რომ ეს დაპირება ბაქიბუქი აღმოჩნდა. ბრაველი თვის განმავლობაში გერმანელთა იერიშები იმსგრეოდა სტალინგრადის ციხესიმაგრის კედლებზე. გერმანელებმა ვერ შესძლეს სტალინგრადის დაკავება. შემდეგ ქალაქის დამცველები შემტევი მხარე გახდნენ, მტრის 22 დივიზია გარშემორტყმაში მოექცა, და ამ დივიზიების ბედი გადაწყვეტილია. ის, რაც სტალინგრადთან მოხდა, უდიდესი დამარცხებაა არა მარტო გერმანიის არმიისა, არამედ პირადი დამარცხებაა აგრეთვე ჰიტლერისა, რომელმაც ითავა გერმანიის შეიარაღებული ძალების სარდლობა და პირადად იკისრა პასუხისმგებლობა სტალინგრადის დაკავებისათვის. 1942 წელს გერმანელთა დარტყმის მთელი სიმძიმე სტალინგრადის წინააღმდეგ იყო მიმართული. იქით მიაყარეს ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია შეტევის ძალის გასაადიდებლად. სტალინგრადთან დამარცხება ლახვარია ჰიტლერის პრესტიჟისათვის. სტალინგრადისათვის ბრძოლა რუსების ყველაზე ბრწყინვალე გამარჯვებაა.

რეიტერის სააგენტოს სამხედრო მიმომხილველი აღნიშნავს, რომ სტალინგრადთან გერმანელებმა განიცადეს ყველაზე დიდი კატასტროფა, როგორიც კი ოდესმე განუცდია ჰიტლერის არმიას, ჯერ კიდევ დაახლოებით ორი თვის წინათ სტალინგრადი ალყაშემორტყმული იყო გერმანელების მიერ, იგი დამპყრობლისადმი რუსი ხალხის მამაცური ერთგულებისა და სიმტკიცის სიმბოლო იყო. ინგლისელებმა 22 ოქტომბერს ალამეინთან ალყა შემოარტყეს ... ალამეინ ... ალამეინ ... ალამეინ ... ალამეინ ... ...